

ძველი დაირა

ნაღამურია.

მთვარემ გასცურა,
უკრავს დაირა გადაქანცული.
ტაშის ძგერაზე მუხამბაზურად
ხმას ააყოლებს ნაზი ქალწული.

ჩამდგარა წრეში, როგორც ჯერანი,
გულს მეწვეთება მისი გალობა,
რა ერთად ჟღერენ ცრემლნი, ძგერანი
ოხვრა, გულისთხრა, მტეხიარობა.

ხმა მიფერფლილი, ფარული ღელვა,
ბედნიერების ბედი, იმედი;
ნაწნავთ ღამეში საყურის ელვა,
მუდარა: ახ, თუ გამიღიმებდი!

- მე შენთვის ღამე
გავასისხამე,
შნთვის ვყინავდი ცრემლებს ბროლსა!
მე ვხედავ ბინდში მიბნედილ თვალებს,
დამწვარ გულიდან ადენილ ბოლსა,

რამდენი თრთოლა ახსოვს მუხამბაზს,
რამდენი გულის გადაბრუნება,
რამდენჯერ გული შანთით უხაზავს,
დაუდაღია მისი ბუნება.

ეს ხმა კი არა, იყო სახმილი,
და ზედ ათასი ება ისარი, -
გაფიცხებული ვნების ძახილი,
ნანამქერალი, ნამაისარი...

ახლა კი მღერის ძლივს, ხმაწასული,

მთვარეში დამწვართ ოხვრის დამსკვნელად,
როგორც ქალწული დროგადასული
უკანასკნელად, უკანასკნელად...

შეტირებული, ბედის მჩივარი,
ძველი ხმა გულზე მომებოლება.
შაბაშს იძლევა ძველი ჩინარი,
მიაბეს მხარი მისმა ტოლებმაც...

სიმღერის ალზე, ბადის ყურეში
მათი ფოთლები შეიტკეცება...
ხმა ხმაურობდა საუკუნეში,
ეხლა დადლილი ჩვენს წინ ეცემა.

როგორც ფარვანა სანთელს შეხლილი,
როგორც ფრინველი ფრთაშეტეხილი...

მაინც მღერიან და აწვალევენ
და მიტომ ჩემთვის სატანჯურია,
როცა ყურს ვუგდებ მუხამბაზს დადლილ
როდესაც გულზე არ მრჩება დადი,
როცა თავისს დროს აცალცალევენ
და მისი ცრემლი აღარ მწყურია...

თუ ძველ ყვავილებს მოაღპობს ჟამი,
ძველ სიმღერებსაც ჰქონიათ ბედი.
თუ ხმას დაეცა სიბერის შხამი,
ვეღარც ანთებს გულის აბედი.
და ვერც ნამკვდრევმა ჰანგმა ასახოს
და ააჟღეროს ჩვენი ოცნება;
ახალ დღეს,
ახალ ვარდს
და გაზაფხულს
ახალი ხმები გაეკოცნება...